**კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, გუთნის ქუჩა #21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.17.01.125.004) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი #1**

**ქ. თბილისი** **24.04.2015 წ.**

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**სხდომას თავმჯდომარეობდა:**
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – თემურ თორდინავა
**სხდომას ესწრებოდნენ:**
საკონკურსო კომისიის წევრები: დავით სიხარულიძე, ნინო ბურძენიძე
**საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:** დავით ძოწენიძე, ნინო კონჯარია
**მოწვეული კონსულტანტები:** ნინო გვენცაძე, ლევან ძაგნიძე
**დღის წესრიგი**

**კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, გუთნის ქუჩა #21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.17.01.125.004) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.**

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის წევრის, დავით სიხარულიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

**კომისიამ დაადგინა:**

1) დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი;
2) საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

**თავმჯდომარე:** /თემურ თორდინავა/

**კომისიის წევრი:** /დავით სიხარულიძე/

**კომისიის წევრი:** /ნინო ბურძენიძე/

აპარატის წევრი: /დავით ძოწენიძე/

აპარატის წევრი: /ნინო კონჯარია/

მოწვეული კონსულტანტი: /ნინო გვენცაძე/

მოწვეული კონსულტანტი: /ლევან ძაგნიძე/